Research

შინამეურნეობების შემოსავალი და სიღარიბე საქართველოში (2019-2023)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები საქართველოში

გამოცემა#149

ნოემბერი 2024

შეჯამება

- **შინამეურნეობების შემოსავლის ზრდა:** 2019-2023 წლებში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი 50.1%-ით გაიზარდა და 1,328 ლარი შეადგინა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამავე პერიოდში გაზრდილ სამომხმარებლო ფასებს (2019-2023 წლებში 29.3%-ით გაიზარდა), შინამეურნეობების რეალური მედიანური შემოსავალი მხოლოდ 16.6%-ით გაიზარდა და 1,027 ლარი შეადგინა.

- **შინამეურნეობების შემოსავლის მიხედვით განაწილების ცვლილება:** ნომინალური მაჩვენებლის მიხედვით მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობათა წილი გაიზარდა, ხოლო დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობათა წილი შემცირდა. 2019-2023 წლებში შინამეურნეობების წილი, რომლებიც იღებდნენ 1000 ლარამდე შემოსავალს 20 პროცენტული პუნქტით (პპ) შემცირდა და 39% შეადგინა. რეალური მაჩვენებელი კი მხოლოდ 6 პპ-ით შემცირდა.

- **შინამეურნეობების შემოსავლები კვინტილების მიხედვით:** ნომინალური შემოსავალი გაიზარდა ყველა კვინტილში. ყველაზე მაღალი ზრდა დაბალი შემოსავლის მქონეთა ჯგუფებში დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, 2023 წელს შინამეურნეობების ყველაზე მდიდარი 20%-ის შემოსავალი 7-ჯერ აღემატებოდა ყველაზე ღარიბი 20%-ის შემოსავალს, რაც ოდნავ ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე (7.7).

- **დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობების დამოკიდებულება სოციალურ ტრანსფერებზე:** 2019-2023 წლებში სოციალური ტრანსფერები ყველაზე ღარიბი 20%-ის შემოსავლის 58%-ს შეადგენდა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მიწოდებულ დახმარებაზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებაზე მიანიშნებს.

- **დასაქმებიდან შემოსავლის მიმღები დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობების წილი:** 2021 წელს ყველაზე ღარიბი კვინტილის 14.1% იღებდა შემოსავალს დასაქმებიდან. 2023 წელს, მაჩვენებელი 18.6%-მდე გაიზარდა. ეს ზრდა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს 2022 წელს დაწყებული საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამით.

- **აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება:** 2020-2023 წლებში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი საგრძნობლად, 21.3%-დან 11.8%-მდე შემცირდა. კლება ძირითადად საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ზრდითა და საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამით არის განპირობებული.

- **საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა:** 2023 წლის ბოლოს 32,921 ადამიანი იყო დასაქმებული საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამის ფარგლებში, რა დროსაც ყოველთვიური ანაზღაურებით დასაქმებულები, მაქსიმუმ, 300 ლარს იღებდნენ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროგრამით მიღებული შემოსავალი დაეხმარა შინამეურნეობების ნაწილს, დაეძლიათ აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი. 2022-2023 წლებში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი 15.6%-დან 11.8%-მდე შემცირდა.

- **ფარდობითი სიღარიბის სტაბილურობა:** აბსოლუტური სიღარიბის შემცირების მიუხედავად, ფარდობითი სიღარიბე შედარებით სტაბილური იყო. 2019-2023 წლებში 0.3 პპ-ით შემცირდა და 19.8% შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 20% საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი შემოსავლით ცხოვრებს.

- **სიღარიბის სუბიექტური აღქმა**: სიღარიბის ობიექტური მაჩვენებლის გაუმჯობესების მიუხედავად, ამ პერიოდში წილი შინამეურნეობებისა, რომლებიც თავიანთ მატერიალურ მდგომარეობას აფასებენ, როგორც „ღარიბს“ ან „უკიდურესად ღარიბს“, მცირედით, 39.7%-დან 35.4%-მდე შემცირდა, რაც სიღარიბის სუბიექტურ და ობიექტურ საზომებს შორის შესამჩნევ განსხვავებაზე მიუთითებს.

- **საარსებო მინიმუმი:** 2003 წელს შემოღებული საარსებო მინიმუმის კალკულაცია სასურსათო და არასასურსათო ხარჯების 70/30 თანაფარდობას ეფუძნება. ეს მეთოდი წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო იმის გამო, რომ არ ასახავდა ხარჯების რეალურ გადანაწილებას. მაგალითისთვის, 2019-2023 წლებში ყველაზე ღარიბი 20%-ისთვის სასურსათო ხარჯები აუცილებელი ხარჯების 60%-ს შეადგენდა. 60/40 თანაფარდობით შეცვლილი საარსებო მინიმუმის დათვლისას მაჩვენებელი 16%-ით იზრდება.

შინამეურნეობების ნომინალური და რეალური შემოსავალები



- 2019-2023 წლებში საგრძნობლად გაიზარდა შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი. კერძოდ, ამ პერიოდში 50.1%-იანი ზრდის შემდეგ 1,328 ლარი შეადგინა. ეს ზრდა ძირითადად გაზრდილმა ფულადმა გზავნილებმა[1], გაუმჯობესებულმა შრომის ბაზრის მდგომარეობამ[2] და სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილმა სოციალურმა ტრანსფერებმა[3] განაპირობა.
- გაანალიზებულ პერიოდში ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს თუ გავითვალისწინებთ (ცხოვრების ხარჯები გაიზარდა 29.3%-ით), ინფლაციაზე მორგებული შემოსავლები სხვა სურათს გვიჩვენებს. 2019-დან 2023 წლამდე რეალური მედიანური შემოსავალი მხოლოდ 16.6%-ით გაიზარდა და 1,027 ლარი შეადგინა.
- აღსანიშნავია, რომ ამ ორ საზომს შორის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. დაგროვებითმა საშუალო წლიურმა ზრდამ (CAGR) ნომინალური შემოსავლისთვის 11% შეადგინა, ხოლო რეალური შემოსავლისთვის -4%.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები დიაპაზონების მიხედვით





- 2019-2023 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა შინამეურნეობების ნომინალური შემოსავლების განაწილება. დაბალი შემოსავლის დიაპაზონის წილი შემცირდა, ხოლო მაღალი შემოსავლის დიაპაზონის წილი გაიზარდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინფლაციის გათვალისწინებისას ორი ყველაზე დაბალი შემოსავლის დიაპაზონის წილები მხოლოდ მცირედით შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინფლაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შინამეურნეობების რეალურ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.
- კერძოდ, 2019-2023 წლებში ყველაზე დაბალი შემოსავლის დიაპაზონების (0-1000 ლარი) წილი ნომინალური მაჩვენებელში 59%-დან 39%-მდე დაეცა, მაშინ, როცა წილი რეალურ მაჩვენებელში 59%-დან 52%-მდე შემცირდა.
- პარალელურად, 2019-2023 წლებში, ყველაზე მაღალი შემოსავლის დიაპაზონების (2001+ ლარი) წილი ნომინალურ მაჩვენებელში 14 პპ-ით გაიზარდა (12%-დან 26%-მდე), რეალური მაჩვენებელში კი - მხოლოდ 4 პპ-ით. რაც შეეხება საშუალო შემოსავლის დიაპაზონებს (1000-2000 ლარი), გაანალიზებულ პერიოდში ნომინალურ მაჩვენებელში წილი 29%-დან 35%-მდე გაიზარდა (6 პპ-ით), ხოლო რეალურ მაჩვენებელში - 4 პპ-ით.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

შინამეურნეობების შემოსავლები კვინტილების მიხედვით





- შინამეურნეობების შემოსავლების განაწილების უკეთ წარმოსაჩენად, შინამეურნეობების შემოსავლები კვინტილების მიხედვით არის დაყოფილი. 2019-2023 წლების განმავლობაში, ნომინალური მედიანური შემოსავალი გაიზარდა ყველა კვინტილში. ყველაზე დიდი ზრდა I (58%) და II (49%) კვინტილებში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე ნაკლები - IV (45%) და V (44%) კვინტილებში.

- მიუხედავად იმისა, რომ I კვინტილში ზრდა უფრო დიდი იყო, ვიდრე V-ში, 2023 წელს V კვინტილის მედიანური შემოსავალი 7-ჯერ აღემატებოდა I კვინტილისას, რაც ოდნავ ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე (7.7). ასევე, შინამეურნეობების ყველაზე მდიდარი 10%-ის შემოსავალი 11-ჯერ აღემატებოდა ყველაზე ღარიბი 10%-ის შემოსავალს, ყველაზე მდიდარი 5%-ის შემოსავალი კი 15-ჯერ აღემატებოდა ყველაზე ღარიბი 5%-ის შემოსავალს.

- I და II კვინტილში შემოსავლის ზრდა ძირითადად სოციალური ტრანსფერების ზრდით იყო განპირობებული.

- 2019-დან 2023 წლამდე 58%-იანი ზრდის შემდეგ, I კვინტილში მედიანური შემოსავალი 446 ლარი იყო.

- ყველა კვინტილში რეალური მედიანური შემოსავლის ზრდა საგრძნობლად ნაკლები იყო ნომინალური შემოსავალის ზრდასთან შედარებით. მაგალითად, 2019-დან 2023 წლამდე, ყველაზე ღარიბი 20%-ის რეალური მედიანური შემოსავალი 61 ლარით გაიზარდა, ხოლო ნომინალური - 162 ლარით. ყველაზე მდიდარი 20%-ის რეალური მედიანური შემოსავალი 240 ლარით გაიზარდა, ხოლო ნომინალური - 949 ლარით.

** თითოეული კვინტილი წარმოადგენს მოსახლეობის 20%-ს, I შედგება ყველაზე დაბალშემოსავლიანი, ხოლო V - ყველაზე მაღალშემოსავლიანი შინამეურნეობებისაგან.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

შინამეურნეობების შემოსავლის წყაროები კვინტილების მიხედვით



- 2019-2023 წლებში შინამეურნეობების შემოსავლის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორების შესასწავლად, უნდა გაანალიზდეს შემოსავლის წყაროები ყველაზე დაბალ, საშუალო და მაღალ კვინტილებში. მონაცემები აჩვენებს, რომ კვინტილებში შემოსავლის წყაროების განაწილება ძირითადად უცვლელი იყო, შესაბამისად, ზრდა განპირობებული იყო არა რომელიმე ცალკეული წყაროს წილის ზრდით, არამედ ყველა წყაროს შემოსავლის ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებიდან (მათ შორის თვითდასაქმებიდან) მიღებული შემოსავლის წილის მცირე ზრდა შეინიშნებოდა ყველა კვინტილში.

- კვინტილების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა შემოსავლის წყაროების განაწილება. კერძოდ, I კვინტილში სოციალური ტრანსფერები (პენსია, სტიპენდია, დახმარებები) საშუალოდ 58%-ს შეადგენდა, რაც მიუთითებს ძლიერ დამოკიდებულებას სახელმწიფოს დახმარებაზე, ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი, საშუალოდ მხოლოდ 13%-ს შეადგენდა.

- I კვინტილში 2023 წელს დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის წილის 4 პპ-ით ზრდა, ძირითადად, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამის[4] დამსახურებაა.

- III და V კვინტილებისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს დასაქმება წარმოადგენდა, საშუალოდ 47% და 58%. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ტრანსფერებს მნიშვნელოვანი წილი ჰქონდათ მესამე კვინტილში (საშუალოდ 27%), ხოლო მეხუთე კვინტილში მინიმალური (საშუალოდ 9%).

** შემოსავლის სხვა წყაროები მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს, ქონებრივ შემოსავალს (როგორიცაა ლიზინგი და პროცენტი დეპოზიტებზე), ქონების გასხვისებას და სესხის აღებას ან დანაზოგს.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

დასაქმებისა და სოციალური ტრანსფერების გავლენა შინამეურნეობის შემოსავალზე





- კვინტილების მიხედვით შემოსავლის წყაროების ანალიზისას გამოვლინდა, რომ შინამეურნეობების შემოსავლებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დასაქმება და სოციალური ტრანსფერები. 2019-დან 2023 წლამდე დასაქმებიდან შემოსავლის მიმღები შინამეურნეობების წილი 57.7%-დან 64.4%-მდე გაიზარდა. ამ პერიოდში საშუალო ნომინალური შემოსავალი დასაქმებიდან ერთ შინამეურნეობაზე, რომელიც შემოსავალს იღებდა დასაქმებიდან, გაიზარდა 86%-ით (რეალური - 44%). ეს, ზრდა, შესაძლოა, ნომინალური ანაზღაურების 65%-იანი ზრდითა და დასაქმების მაჩვენებლის 3 პპ-ით ზრდითაა განპირობებული.

- 2022 წელს დაწყებულმა საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამამ გაზარდა დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებში. 2023 წლის ბოლოს პროგრამით დასაქმებული იყო 32,921 ადამიანი[5]. ამავე პერიოდში, ყველაზე დაბალი შემოსავლის კვინტილში შინამეურნეობების 18.6% იღებდა შემოსავალს დასაქმებიდან, რაც 4.5 პპ-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს.

- 2019-დან 2023 წლამდე 2.8 პპ-ით გაიზარდა იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც იღებენ შემოსავალს სოციალური ტრანსფერებიდან. ზრდის მიზეზი შეიძლება იყოს საარსებო შემწეობისა და პენსიებს მიმღებთა რაოდენობის ზრდა. 2019 წლიდან 2023 წლამდე I და II კვინტილში ტრანსფერის მიმღებ შინამეურნეობათა წილი 63.5%-დან 71%-მდე გაიზარდა, სოციალური ტრანსფერების საშუალო ნომინალური ოდენობა კი - 290 ლარიდან 471 ლარამდე, რაც გამოწვეულია საარსებო შემწეობისა და პენსიების ოდენობის საერთო ზრდით.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

სიღარიბის მაჩვენებლები



- კოვიდ პანდემიის გამო 2019-დან 2020 წლამდე აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 19.5%-დან 21.3%-მდე გაიზარდა. 2020 წლის შემდეგ კი აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელმა კლება დაიწყო. 2022 წლიდან 2023 წლამდე მაჩვენებელი 15.6%-დან 11.8%-მდე შემცირდა.

- 2020 წლიდან 2022 წლამდე სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლის შემცირება ემთხვევა მოსახლეობის საარსებო შემწეობის მიმღებთა წილის ზრდას, რომელიც 11.9%-დან 17.4%-მდე გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო აბსოლუტური სიღარიბის შემცირებას. თუმცა, 2022-დან და 2023 წლამდე აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 3.8 პპ-ით დაეცა, მაშინ, როცა საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მცირედით, 0.5 პპ-ით, შემცირდა. ეს კლება სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა, გამოწვეული იყოს საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამით.

- 2022 წლიდან 2023 წლამდე სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი 15.6% დან 11.8%-მდე დაეცა. 2023 წლის ბოლოს საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამის ფარგლებში 32,921 ადამიანი იყო დასაქმებული, რა დროსაც ყოველთვიური ანაზღაურების სახით დასაქმებულები მაქსიმუმ 300 ლარს იღებდნენ. სავარაუდოა, რომ აღნიშნული შემოსავალი დაეხმარა ზოგიერთ შინამეურნეობას სიღარიბის ზღვრის დაძლევაში.

- 2019-2023 წლებში ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი, მცირედით, 20.1%-დან 19.8%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავლების უთანასწორობა მხოლოდ ოდნავ შეიცვალა და მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ჯერ კიდევ უჭირს გასწვდეს ცხოვრების ნორმალურ სტანდარტებს.

**აბსოლუტური სიღარიბე იზომება სასურსათო კალათის საფუძველზე, ზღვარი გამოითვლება ზრდასრული ადამიანის ყოველდღიური საჭირო კალორიების ფულადი ექვივალენტით.*[6]

***ფარდობითი სიღარიბე იზომება შემოსავლების ან დანახარჯების ფარდობითი განაწილებით (მედიანური შემოსავლის 60%).*[7]

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

საარსებო მინიმუმი





- საარსებო მინიმუმი სიღარიბის საზომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ის ასახავს იმ მინიმალურ თანხას, რომელიც ადამიანს არსებობისთვის სჭირდება. 2003 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით საარსებო მინიმუმის 70% გამოყოფილია საკვებზე, რომელიც საჭიროა მინიმალური კალორიების მისაღებად, ხოლო 30% არასაკვები ხარჯებისთვის, თუმცა ეს დანაწილება წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო იმის გამო, რომ ის არ ასახავს რეალურ გადანაწილებას სასურსათო და არასასურსათო დანახარჯებს შორის. შინამეურნეობების დანახარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ 2019-2023 წლებში შინამეურნეობების ყველაზე ღარიბი 20% აუცილებელი ხარჯების 60%-ს ხარჯავდა საკვებზე. შინამეურ-ნეობების ხარჯების განაწილების კორექტირება (პროპორცია 60/40-ით) ზრდის საარსებო მინიმუმს 16%-ით. შესაბამისად, 2023 წელს კორექტირებული საარსებო მინიმუმი 224,2 ლარის ნაცვლად 261,6 ლარია.

- 2019-2023 წლებში საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის საშუალო წილი 17.3% იყო. კორექტირებული მაჩვენებლის გამოყენებისას (პროპორცია 60/40-ით) საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის საშუალო წილი 6.7 პპ-ით იზრდება და 24%-ს წარმოადგენს.

- ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ღარიბი შინამეურნეობების ხარჯვის პროპორციაზე დაფუძნებულმა მცირე კორექტირებამაც კი შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საარსებო მინიმუმის ოდენობაზე. შესაბამისად, თუ მეთოდოლოგია არსებითად გადაიხედება, შედეგები შეიძლება კიდევ უფრო შეიცვალოს.

** აუცილებელი ხარჯები PMC კვლევითი ცენტრი მიერ განსაზღვრულია, როგორც: საკვები, სასმელები და თამბაქო, ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები და ჯანდაცვა.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

შემოსავლისა და სიღარიბის სუბიექტური აღქმა





- შინამეურნეობის ეკონომიკური პირობების სრულად გასაგებად, უნდა განვიხილოთ შინამეურნეობების სუბიექტური შეფასება საკუთარი შემოსავლისა და მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

- 2019-2023 წლებში საშუალოდ შინამეურნეობების 43%-მა თავისი შემოსავალი შეაფასა „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“, მაშინ, როცა შემოსავალი „კარგად“ ან „ძალიან კარგად“ მხოლოდ 15%-მა შეაფასა, ხოლო დარჩენილმა 42%-მა - „დამაკმაყოფილებლად“. აღსანიშნავია, რომ 46%-დან 41%-მდე შემცირდა იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც თავიანთ შემოსავალს „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ აფასებენ, ხოლო 38%-დან 43%-მდე გაიზარდა მათი წილი, ვინც მას „დამაკმაყოფილებლად“ აფასებს. უცვლელი დარჩა იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც საკუთარ შემოსავალს აფასებენ, როგორც „კარგს“ ან „ძალიან კარგს“.

- იგივე სურათი შეიმჩნევა მატერიალური მდგომარეობის სუბიექტურ შეფასებაშიც. წილი იმ შინამეურნეობებისა, რომლებიც თავს „ღარიბად“ ან „ძალიან ღარიბად“ მიიჩნევენ, 39.7%-დან 34.5%-მდე შემცირდა, ხოლო 57.8%-დან 62.5%-მდე გაიზარდა იმათი წილი, ვინც თავს „საშუალო შეძლების“ მქონედ მიიჩნევს. ოდნავ გაიზარდა მათი წილი, ვინც თავს „შეძლებულად“ ან „მდიდრად“ მიიჩნევს, 2.5%-დან 3%-მდე.

- შინამეურნეობების სუბიექტური აღქმები მიგვითითებს, რომ შინამეურნეობების შემოსავლების ზრდამ გააუმჯობესა სუბიექტური აღქმაც. თუმცა მნიშვნელოვანი სხვაობა რჩება ობიექტურ და სუბიექტურ შეფასებებს შორის. მაგალითად, 2019 წლიდან 2023 წლამდე აბსოლუტური სიღარიბე 19.5%-დან 11.5%-მდე დაეცა, თუმცა წილი იმ შინამეურნეობებისა, რომლებიც თავს „ღარიბად“ ან „უკიდურესად ღარიბებად“ მიიჩნევენ, 39.7%-დან მხოლოდ 35.4%-მდე შემცირდა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2019	2020	2021	2022	2023	Q1 2024	Q2 2024
ნომინალური მშპ (მილიონი USD)	17,638.7	16,010.7	18,853.0	24,989.5	30,536.8*	7,080.2*	8,067.4*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (USD)	4,741.4	4,300.8	5,083.6	6,731.2	8,210.1*	1,916.4*	2,183.6*
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	5.4%	-6.3%	10.6%	11.0%	7.5%*	8.4%*	9.6%*
ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	2.5%	0.3%	1.9%
FDI (მილიონი USD)	1,354.1	595.3	1,252.7	2,097.9	1,594.7	201.4*	574.3*
უმუშევრობის მაჩვენებელი (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	16.4%	14.0%	13.7%
საგარეო ვალი (მილიონი USD)	5,741.0	7,535.1	8,205.3	8,345.6	8,907.8	8,236.3	8,327.1
სიღარიბე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9%	19.9%	19.8%	-	-

** წინასწარი მონაცემები*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.
ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:
• პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
• რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.
PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.
PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.
მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.
მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.
თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

გოჩა ქარდავა
მკვლევარი
g.kardava@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
მკვლევარი
N.bakradze@pmcginternational.com

გიორგი შოგირაძე
უმცროსი მკვლევარი
g.shogiradze@pmcginternational.com

დამატებითი რესურსები:

1. https://www.pmcresearch.org/publications_file/4e926465c148e14d9.pdf
2. https://www.pmcresearch.org/publications_file/878e656452ee48bdb.pdf
3. https://www.pmcresearch.org/periodic_show/462/Issue-143:-Subsistence-allowance-in-Georgia-(2018-2022)
4. https://www.pmcresearch.org/periodic_show/462/Issue-143:-Subsistence-allowance-in-Georgia-(2018-2022)
5. https://view.officeapps.live.com/op/view.aspx?src=https%3A%2F%2Fmof.ge%2Fimages%2FFile%2F2024%2Fshesrulebis_angarishebi%2F01-04-2024%2FTAVI%2520V%2520wliuri.docx&wdOrigin=BROWSELINK
6. https://www.geostat.ge/media/63658/Absolute-and-Relative-Poverty-Indicators-and-GINI-Coefficients.PDF
7. https://www.geostat.ge/media/63658/Absolute-and-Relative-Poverty-Indicators-and-GINI-Coefficients.PDF
8. https://www.geostat.ge/media/52685/0718_150223_EN.pdf

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org